**მსჯავრდებულები  
დაწესებულების ტიპის მიხედვით**




### 11.6 უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები


2024 წლის თებერვლის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულნი იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები 53 ქვეყნიდან და მოქალაქეობის არმქონე პირები. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მათი რიცხვი 862-ს შეადგენდა (ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 8.5%). მათ შორის იყო: №2 დაწესებულებაში 4 (რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, თურქეთი-საქართველო, რუსეთი-უკრაინა), №5 დაწესებულებაში 7 (თურქეთი-საქართველო, ისრაელი-საქართველო, ბელარუსი-საქართველო, ბელარუსი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-უკრაინა), №6 დაწესებულებაში 2 (რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო), №8 დაწესებულებაში 3 (რუსეთი-საქართველო, ირანი-საქართველო, ბელგია-საქართველო), №12 დაწესებულებაში 2 (ესტონეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო), №14 დაწესებულებაში 1 (რუსეთი-საქართველო), №15 დაწესებულებაში 2 (ბელარუსი-საქართველო, რუსეთი-საქართველო), №16 დაწესებულებაში 2 (რუსეთი-საქართველო, ირანი-საქართველო), №17 დაწესებულებაში 2 (უკრაინა-საქართველო, რუსეთი-საქართველო) ორმაგი მოქალაქეობის მქონე ბრალდებული/მსჯავრდებული.

ქვემოთ მოცემულია პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის ამსახველი დიაგრამები, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და სახელმწიფოების შესაბამისი მოქალაქეობის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №33, №34):

**უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში**




**უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე  
ბრალდებულები და მსჯავრდებულები**




როგორც ზემოაღნიშნული დიაგრამიდან ჩანს, უცხოელთაგან უდიდესი ნაწილი თურქეთზე, რუსეთზე და აზერბაიჯანზე მოდის. დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან ქვეყნები, რომლებიც დიაგრამაზე გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (ავსტრალია - 1, ალბანეთი - 1, არაბთა გაერთიანებული საამირო - 1, ბელგია - 1, ესტონეთი - 1, იემენი - 1, ინდონეზია - 1, კამერუნი - 1, კოლუმბია - 1, ლიეტუვა - 1, ნიდერლანდების სამეფო - 1, პოლონეთი - 1, პორტუგალია - 1, რუმინეთი - 1, სირია - 1, ტუნისი - 1).

უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე  
ბრალდებულები და მსჯავრდებულები



### 11.7 პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა


2024 წლის თებერვალში, პენიტენციურ სისტემაში სულ 791 პირის გადაადგილება დაფიქსირდა. მათ შორის: საერთო პროფილის საავადმყოფოებში - 500; პენიტენციურ დაწესებულებებში - 291 (იხ. დანართი, ცხრილი №35):



### 11.8 პენიტენციური სისტემიდან გასვლა

2024 წლის თებერვალში, პენიტენციური დაწესებულებები სხვადასხვა საფუძვლით დატოვა 527 პირმა, რაც დეტალურად ნაჩვენებია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №36):

### პენიტენციური სისტემიდან გასული ბრალდებულები და მსჯავრდებულები




როგორც ვხედავთ, პენიტენციური სისტემიდან გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უდიდესი წილი კალენდარულად (191), პირობითი მსჯავრით (40) და პირობით ვადამდე (34) გათავისუფლებულ მსჯავრდებულებზე მოდის. ხოლო, დაბალი მაჩვენებლით წარმოდგენილია სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა (5), განაჩენის აღსრულების გადავადება (1) და გარდაცვალება (1). აღნიშნულის გარდა, სხვა სახით გათავისუფლებულთა (გირაო, საქმის შეწყვეტა, ექსტრადიცია და სხვა) საერთო რაოდენობამ (255) გათავისუფლებულ პირთა მთლიანი რაოდენობის 48.4% შეადგინა.

#### 11.9 პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის/ხანდაზმულობის გამო გათავისუფლება-გადავადება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჯანმრთელობის/ხანდაზმულობის გამო საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლებულ - გადავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დეტალური მონაცემები წარმოდგენილია შემდეგ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №36, №37):

**ჯანმრთელობის/ხანდაზმულობის გამო  
გათავისუფლება - გადავადება**



**11.10 რესოციალიზაციის მიმდინარეობა**


რესოციალიზაციის მიმდინარეობის მაჩვენებელი თითოეული დაწესებულებისთვის ღონისძიებათა ტიპების მიხედვით ითვლება. ამ მიზნით ხდება თითოეულ ღონისძიებაში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის აღრიცხვა და მათი დაყოფა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებად. ასევე, აღრიცხება თითოეულ დაწესებულებაში განხორციელებული ღონისძიებათა ტიპები, მონაწილე პირების გარეშე.

2024 წლის თებერვლის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მონაწილეობით 2 074 რესოციალიზაციის ღონისძიება განხორციელდა, ხოლო მონაწილე პირთა გარეშე - 0. მათ შორის, ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მიხედვით ყველაზე დიდი ადგილი შრომას/დასაქმებას (795) ეკავა.


წარმოდგენილ დიაგრამებზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის ღონისძიებებში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში და დაწესებულებების მიხედვით, ასევე რესოციალიზაციის ღონისძიებების მაჩვენებელი მონაწილე პირთა გარეშე (იხ. დანართი, ცხრილი №38, №39, №40):




რესოციალიზაციის ღონისძიებებში ჩართული პირები  
სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში




რესოციალიზაციის ღონისძიებებში ჩართული  
ბრალდებულები და მსჯავრდებულები



რესოციალიზაციის მიმდინარეობა  
დაწესებულებებში




რესოციალიზაციის ღონისძიებები  
მონაწილე პირთა გარეშე



საანგარიშო პერიოდში, არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ რესოციალიზაციის 328 ღონისძიება განხორციელდა. ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის პროგრამასა და ღონისძიებაში ჩართული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება:

**რესოციალიზაციის ღონისძიებებში  
არასრულწლოვანთა ჩართულობა**




საანგარიშო პერიოდში, 61 არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული რესოციალიზაციის 328 სხვადასხვა ღონისძიებაში<sup>3</sup> იღებდა მონაწილეობას.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე ნაჩვენებია რესოციალიზაციის ღონისძიებები ქვეტიპების მიხედვით:


<sup>3</sup> აღნიშნული მონაცემი აღებულია სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიხედვით, რაც არ წარმოადგენს უნიკალურ რიცხვს და ერთი ბრალდებული/მსჯავრდებული შესაძლოა ჩართული იყოს რამდენიმე პროგრამაში.

### ზოგადი/უმაღლესი/პროფესიული განათლება




- საჯარო სკოლა - 63
- ექსტერნატი გამოცდები - 0
- ეროვნული გამოცდები/სამაგისტრო გამოცდები - 0
- ბაკალავრი - 41
- მაგისტრატურა - 2
- პროფესიული განათლება - 332
- პროფესიული განათლება (VETCI) - 87

### ფსიქო-სოციალური თერაპია/ტრენინგები და კულტურული ღონისძიებები




### სპორტული/სხვა ღონისძიებები



- სპორტული წვრთნა - 63
- სპორტული ტურნირები - 0
- სპორტული ფესტივალი - 0
- სხვა ღონისძიებები - 43
- სხვა ღონისძიებები (VETCI) - 41

### შრომა/დასაქმება




- დასაქმება სამეურნეო სამსახურში - 470
- დასაქმება (VETCI) - 20
- დასაქმება სხვა - 150
- შრომა - 155


### 11.11 სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება

2024 თებერვლის თვეში, პენიტენციური დაწესებულებების სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული იყო 470 მსჯავრდებული. ქვემოთ დიაგრამებზე ნაჩვენებია მათი რაოდენობა სქესობრივი ჭრილისა და შრომის ანაზღაურების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №41):

სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული მსჯავრდებულები სქესობრივ ჭრილში




დაწესებულებების სამეურნეო სამსახურებში  
მსჯავრდებულთა დასაქმება/ანაზღაურება



### 11.12 დისციპლინური სახდელები


2024 წლის თებერვალში, პენიტენციურ დაწესებულებებში დისციპლინური სახდელები 279-ჯერ იქნა გამოყენებული. საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული დისციპლინური სახდელები სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში, სახეებისა და დაწესებულებების მიხედვით ნაჩვენებია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №42):

დისციპლინური სახდელები






**დისციპლინური სახდელები  
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში**




**დისციპლინური სახდელები  
დაწესებულებებში**




**11.13 წახალისების ფორმები**

საანგარიშო პერიოდში, მსჯავრდებულთა წახალისების კუთხით 180 ღონისძიება განხორციელდა. მათი გადანაწილება სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში, წახალისების ფორმებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №43):


## წახალისების ფორმები



## წახალისების ღონისძიებები სქესობრივ-ასაკობრივ კრილში




### წახალისების ფორმები დაწესებულებებში




#### 11.14 პაემნის ღონისძიებები

2024 წლის თებერვლის თვეში, ბრალდებულებმა და მსჯავრდებულებმა პაემნის უფლებით სულ 4 129-ჯერ ისარგებლეს. განხორციელებული პაემნები სახეობებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №44):


#### პაემნის ღონისძიებები



პაემნის ღონისძიებები  
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში




პაემნები დაწესებულებებში




### 11.15 წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

საანგარიშო პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ წარსულში ნასამართლევ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობამ 4 027 შეადგინა. აღნიშნული მონაცემები სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №45):

**წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში**




**წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები დაწესებულებებში**




### 11.16 დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები

საანგარიშო პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ დაოჯახებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობამ 5 074 შეადგინა. აღნიშნული მონაცემები სქესობრივ-საკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №46):

**დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები  
სქესობრივ-საკობრივი ჭრილში**




**დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები  
დაწესებულებებში**




11.17 შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან არცერთი მსჯავრდებული არ გათავისუფლებულა (იხ. დანართი, ცხრილი №36, №47):

შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება  
სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში




შეწყალების შედეგად  
საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლებული  
მსჯავრდებულები დაწესებულებებში




11.18 ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება

2024 წლის თებერვლის თვეში, ამნისტიის შედეგად, საპატიმრო სასჯელისაგან არცერთი ბრალდებული/მსჯავრდებული არ გათავისუფლებულა (იხ. დანართი, ცხრილი №36, №48):

ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება  
სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში



ამნისტიის შედეგად  
საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლებული  
მსჯავრდებულები დაწესებულებებში






### 11.19 პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები

პენიტენციურ სისტემაში დანაშაულის ჩადენის ფაქტების მაჩვენებელი გამოითვლება თითოეული დაწესებულებისთვის, საქართველოს სსკ-ის მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მიხედვით, რაც დაწესებულებებში კრიმინოგენული ვითარების ცალ-ცალკე ჩვენების გარდა საერთო ვითარების ასახვის საშუალებასაც იძლევა. ამასთან, კრიმინოგენული სიტუაციის აღმრიცხავი მონაცემთა ცხრილები დანაშაულებრივი ფაქტებისა და მათი ჩამდენი პირების ასაკობრივ კატეგორიებსაც გვიჩვენებს.

იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასავლეთ და აღმოსავლეთ საგამოძიებო სამმართველოების ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2024 წლის თებერვლის თვეში, პენიტენციურ სისტემაში მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების რაოდენობამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 9 მუხლით გათვალისწინებული 72 ერთეული ქმედება შეადგინა. მათგან, ყველაზე მეტი ხვედრითი წილი საქართველოს სსკ 126-ე მუხლით ჩადენილ დანაშაულებზე მოდის.


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია, საანგარიშო პერიოდში, გამოძიების დაწყების საფუძველად ქცეული დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობა და მათი ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №49, №50):



**დაწესებულებებში და დაწესებულების გარეთ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები**


2024 წლის თებერვლის თვეში, გამოძიება 8 სხვადასხვა დაწესებულებაში მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებზე დაიწყო. ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა ასახავს ადგილმდებარეობის მიხედვით ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების პროცენტულ მაჩვენებელს:

**დაწესებულებებში და დაწესებულების გარეთ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები**



საანგარიშო პერიოდში, გამოძიება ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტებზე სულ 72 პირის მიმართ წარიმართა. გამოძიების ობიექტს - ქმედების ჩამდენ პირთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას 41-49 წლამდე ასაკის პირები შეადგენდნენ. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია 2024 წლის თებერვლის თვეში ჩადენილი ქმედებებისა და ჩამდენ პირთა ასაკობრივი კატეგორიების ურთიერთმიმართება:

**პირთა რაოდენობა,  
რომელთა მიმართაც დაწყებულია გამოძიება**



**11.20 დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) პენიტენციურ სისტემაში<sup>4</sup>**

**დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)**


2024 წლის თებერვლის თვეში, სამედიცინო დეპარტამენტის მონაცემებით, ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების შედეგად, ICD10 კოდით განსაზღვრული ძირითადი დაავადების მიხედვით<sup>5</sup>, გამოვლენილი დაავადებათა საერთო რაოდენობა 6 698-ს გაუტოლდა. სამედიცინო მდგომარეობის ამსახველი მონაცემთა ცხრილები ასევე იძლევა დაავადებების სქესობრივ-საკობრივ ჯგუფებში გავრცელების მასშტაბის დადგენის საშუალებას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია ICD10 კოდით განსაზღვრული ძირითად დაავადებათა ხვედრითი წილი. პენიტენციურ სისტემაში გავრცელებული დაავადებებიდან ყველაზე დიდი ნაწილი სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებზე (1 305) მოდის. ხოლო, ყველაზე დაბალი მაჩვენებლით წარმოდგენილია თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები - 1 (იხ. დანართი, ცხრილი №51):

<sup>4</sup> დაავადებათა შესაბამისი კოდები (ICD10) იხილეთ ანგარიშის დანართში.


<sup>5</sup> დაავადებათა უფრო დეტალურად ჩამოლილი მონაცემები იხ. ანგარიშის თანდართულ №51 და №52 ცხრილებში.

## დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) საერთო




დაავადებულ პირთა კატეგორიაში ყველაზე მეტი მაჩვენებლით სრულწლოვანი კაცები (5 634) ხასიათდებიან. ICD10 კოდით განსაზღვრული ძირითადი დაავადებები, სქესობრივ-საკობრივი ჯგუფების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №52):

დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)  
სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში



შემდეგი დიაგრამა გვიჩვენებს ქალებისა და კაცების ასაკობრივი კატეგორიების ხვედრით წილს ICD10 კოდით განსაზღვრულ ძირითად დაავადებათა საერთო რაოდენობაში:


დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)  
სქესობრივ-ასაკობრივ კატეგორიებში



მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ მ/წ თებერვლის თვეში, დაავადებათა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კაცებსა და ქალებში 41-49 წლამდე ასაკობრივ კატეგორიებში გამოვლინდა.


არასრულწლოვნებში დაავადებების რაოდენობა (81) ICD10 კოდით განსაზღვრულ ძირითად დაავადებათა მთლიანი რაოდენობის (6 698) 1.2%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე აღნიშნულია დაავადებათა გავრცელების მაჩვენებელი არასრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში, დაავადებათა კატეგორიის მიხედვით:

**დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)  
არასრულწლოვან კაცებში/ქალებში**




შემდეგი ორი დიაგრამა აჩვენებს ICD10 კოდით განსაზღვრულ ძირითად დაავადებათა კატეგორიების გავრცელების მასშტაბს ცალ-ცალკე მამრობითი და მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართებაში (იხ. დანართი, ცხრილი №52):

## დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) სრულწლოვან კაცებში





**დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)  
სრულწლოვან ქალებში**




ზემოაღნიშნული დიაგრამებიდან ჩანს, რომ, როგორც მამრობითი ისე მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში გავრცელებულ დაავადებებში სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები სჭარბობს.

### **სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა**

პენიტენციურ დაწესებულებებში მკურნალობასთან დაკავშირებული მონაცემები ყოველთვიურად გაწეული პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების მიხედვით ითვლება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია, 2024 წლის თებერვალში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთათვის სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი, პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების ტიპების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №53):


## პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებები




### 11.21 გარდაცვალება

2024 წლის თებერვლის თვეში, პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალების 1 ფაქტი დაფიქსირდა. გარდაცვალების მაჩვენებელი ადგილმდებარეობისა და სავარაუდო ნოზოლოგიის მიხედვით ასახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №54, №55).

გარდაცვლილ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სტატისტიკა ადგილმდებარეობის მიხედვით



გარდაცვლილ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სტატისტიკა ნოზოლოგიების მიხედვით



■ დაწესებულების გარეთ - 0    ■ სამოქალაქო კლინიკები - 1    ■ დაწესებულებები - 0


## თავი V. პრობაციის სისტემის სტატისტიკა

### ნაწილი 12 - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი

#### საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო


#### 12.1 არაპატიმარი მსჯავრდებულები

არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები ანგარიშში რეგიონების<sup>1</sup>, სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისა და შეფარდებული ღონისძიების მიხედვით არის წარმოდგენილი. 2024 წლის თებერვლის ბოლოს, საქართველოში სულ 24 661 არაპატიმარი მსჯავრდებული დაფიქსირდა. რეგიონებს შორის მაღალი მაჩვენებლით თბილისი გამოირჩევა, რომელსაც ასევე მაღალი მაჩვენებლით იმერეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები მოსდევს. არაპატიმარ მსჯავრდებულთა ყველაზე მცირე რაოდენობა კი რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონშია დაფიქსირებული. აღნიშნული მონაცემები ასახულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №56):




<sup>1</sup> 2020 წლის 1 იანვრიდან სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2 ტერიტორიული ორგანო გაერთიანდა კერძოდ აჭარისა და გურიის პრობაციის ბიურო. აღნიშნული თარიღიდან, აჭარისა და გურიის რეგიონების მონაცემები ცხრილებში გაერთიანებული სახით არის წარმოდგენილი.


შეფარდებული ღონისძიების მიხედვით, ქვეყანაში არაპატიმარ მსჯავრდებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა პირობით მსჯავრზე (21 096) მოდის, ხოლო ყველაზე მცირე მაჩვენებლით სასჯელის გადავადება (4) ხასიათდება.



საანგარიშო პერიოდში, პრობაციის ღონისძიებაზე შეფარდებულ პირთა საერთო რაოდენობა 23 882 -ია. მათი ხვედრითი წილი შეფარდებული ღონისძიების მიხედვით მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე:





ქვეყნის მასშტაბით, არაპარტიმარ მსჯავრდებულთა უმეტესობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში სრულწლოვან კაცებზე მოდის (23 367), რაც ნათლად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №57, №58):



## 12.2 არაპარტიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით


საანგარიშო პერიოდში, არაპარტიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობას დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგი დიაგრამები ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №59):






### 12.3 არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

2024 წლის თებერვლის თვის მონაცემებით, არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულების რაოდენობა (128) არაპატიმარ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.52%-ს შეადგენს. მათი საერთო რაოდენობის კლასიფიცირება დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს (იხ. დანართი, ცხრილი №59):






### არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები დანამაულის სახეობის მიხედვით




#### 12.4 უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებულები

წარმოდგენილ საანგარიშო პერიოდში, საქართველოში სულ 34 სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობის მქონე - 472 უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებული დაფიქსირდა, რაც არაპატიმარ მსჯავრდებულთა მთლიანი რაოდენობის 1.92%-ს შეადგენს. მათი განაწილების მაჩვენებელი სქესობრივ-საკობრივი ჯგუფებისა და მოქალაქეობის მიხედვით მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ.დანართი, ცხრილი №60, №61):

### უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებულები მოქალაქეობის მიხედვით




### უცხოელ არაპატიმარ მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები




### 12.5 არაპატიმარი მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით

არასაპატიმრო სასჯელის შეფარდება ხორციელდება როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის სახით. საანგარიშო პერიოდში, არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების რაოდენობამ (2 647) არაპატიმარ მსჯავრდებულთა საერთო რიცხვის (24 661) 10,8% შეადგინა. მათ შორის, პროცენტული გადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება: თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა - 36.3% (961), საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა 38.6% (1 023), იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვა - 23.5% (623), გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა 0.0% (0), იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 0.1% (40). სქესის მიხედვით განაწილება შემდეგნაირია, არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების საერთო რაოდენობის 3.2%-ს (85) ქალები შეადგენენ (იხ. დანართი, ცხრილი №62):


### თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა



### საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა



### იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვა




#### 12.6 არაპატიმარ მსჯავრდებულთა ახალი საკმეები


2024 წლის თებერვალში, სასამართლოს გადაწყვეტილება არასაპატიმრო სასჯელისა და პრობაციის ღონისძიების შეფარდების შესახებ სულ 1 304 პირის მიმართ იქნა გამოტანილი.

ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა რეგიონების და შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ასახულია შემდეგ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №63):

### არაპატიმარ მსჯავრდებულთა ახალი საქმეების რაოდენობა რეგიონულ ქრილში




### არაპატიმარ მსჯავრდებულთა ახალი საქმეების რაოდენობა შეფარდებული ღონისძიების მიხედვით




საანგარიშო პერიოდში, პრობაციის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლოს განაჩენი 1 198 პირის მიმართ იქნა გამოტანილი. მათი ხვედრითი წილი შეფარდებული პრობაციის ღონისძიების მიხედვით მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე:

### პრობაციის სახეების შეფარდების მაჩვენებელი



ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია 2024 წლის თებერვლის თვეში არაპატიმარ მსჯავრდებულთა ახალი საქმეების მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №64):


### არაპატიმარ მსჯავრდებულთა ახალი საქმეები სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები




### 12.7 დასრულებული და შეწყვეტილი საქმეები

საანგარიშო პერიოდში, დასრულებულ და შეწყვეტილი საქმეთა რაოდენობა საქართველოს მოქალაქეთა (1 204) და უცხოელთა (3) მიმართ საფუძვლებისა და რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №65, №66, №67, №68):


### დასრულებული და შეწყვეტილი საქმეები საქართველოს მოქალაქეთა მიმართ საფუძვლის მიხედვით



### დასრულებული და შეწყვეტილი საქმეები უცხოელთა მიმართ საფუძვლის მიხედვით




### დასრულებული და შეწყვეტილი საქმეები რეგიონულ ჭრილში (საერთო)




როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, დასრულებული და შეწყვეტილი საქმეების რაოდენობის მხრივ თბილისის შემდეგ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა სამეგრელო ზემო სვანეთის და იმერეთის რეგიონები. ხოლო, რაოდენობრივად ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმ და ქვემო სვანეთში.

დასრულებული და შეწყვეტილი საქმეების რაოდენობა არაპატიმარ მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. დანართი, ცხრილი №66, №67, №68):


### დასრულებული და შეწყვეტილი საქმეები (საერთო) სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



**დასრულებული და შეწყვეტილი საქმეები საქმეები საქართველოს მოქალაქეთა მიმართ სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში**



**დასრულებული და შეწყვეტილი საქმეები უცხოელთა მიმართ სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში**




**12.8 პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა**


ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია არაპატიმარ მსჯავრდებულთათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის 2024 წლის თებერვლის თვის სტატისტიკა, სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №69):



### პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში



### პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა რეგიონულ ჯგუფში



#### 12.9 არაპატიმარ მსჯავრდებულთა შეწყალება

2024 წლის თებერვლში შეწყალების ფაქტი არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №70):


#### 12.10 არაპატიმარ მსჯავრდებულთა ამნისტია

2024 წლის თებერვალში, არაპატიმარ მსჯავრდებულთა ამნისტიის ფაქტი არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №71).

### 12.11 საქმეების საშუალო რაოდენობა<sup>2</sup> ერთ ოფიცერზე

2024 წლის თებერვლის თვის მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში 24 661 არაპატიმარი მსჯავრდებულის საქმე 168 პრობაციის ოფიცერზე გადანაწილდა. საქმეების საშუალო რაოდენობით ერთ ოფიცერზე რეგიონებში თბილისი (188) და შიდა ქართლი (162) ლიდერობს, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (52) ფიქსირდება. საანგარიშო პერიოდში, მთლიანი ქვეყნის მასშტაბით, საქმეების საშუალო რაოდენობამ ერთ ოფიცერზე 147 შეადგინა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია საქმეების საშუალო რაოდენობის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №72):

საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში





<sup>2</sup> საქმეების საშუალო რაოდენობა თითოეულ პრობაციის ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში, გამოითვლება საანგარიშო პერიოდისთვის მოცემულ რეგიონში დაფიქსირებული არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობის შეფარდებით ამავე რეგიონში მოქმედ პრობაციის ოფიცერების რაოდენობაზე. მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ ოფიცერზე საქმეების საშუალო რაოდენობის გამოთვლისას არაპატიმარ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შეფარდება ხდება საქართველოში მოქმედ ყველა პრობაციის ოფიცერის რაოდენობის აღმნიშვნელ რიცხვზე. არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობა როგორც რეგიონულ ჭრილში, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით ასახულია დანართის №56 ცხრილში სახელწოდებით „არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობა შეფარდებული ღონისძიების მიხედვით რეგიონულ ჭრილში“.


**12.12 არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიმდინარეობა და განრიდებულთა შეფასება**

საანგარიშო პერიოდში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით თბილისის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო-სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქსვანეთის და აჭარა-გურიის რეგიონებში სარეაბილიტაციო და სამკურნალო პროგრამები და დასაქმების ღონისძიებები სულ - 158 არაპატიმარ მსჯავრდებულისთვის განხორციელდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის 2024 წლის თებერვლის თვის სტატისტიკა, პროგრამების, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №73, №74):




### არაკატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია რეგიონულ ჭრილში




საანგარიშო პერიოდის განრიდებულთა შეფასების მაჩვენებელი (116) რეგიონებისა და სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ასახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №73, №74):

### განრიდებულთა შეფასების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში




### განრიდებულთა შეფასების მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში




### 12.13 არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმება

2024 წლის თებერვლის თვის, არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმების სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფისა და რეგიონების მიხედვით მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №75):

### არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმება რეგიონულ ჯგუფში




### არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმება სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში




### 12.14 შინაპატიმრობა

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია, საანგარიშო პერიოდში, შინაპატიმრობის შეფარდების სტატისტიკის საერთო მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფის, რეგიონებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №76, №77, №78):


### შინაპატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი რეგიონულ ჯგუფში (საერთო)



**შინაპატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში (საერთო)**




**შინაპატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი სასამართლოს/ადგილობრივი საბჭოების მიერ (საერთო)**




ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია შინაპატიმრობის შემოსულ საქმეთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფის, რეგიონებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №77):


**შინაპატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი - შემოსულ საქმეთა რაოდენობა რეგიონულ ჭრილში**



**შინაპატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი - შემოსულ საქმეთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში**



**შინაპატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი - შემოსულ საქმეთა რაოდენობა სასამართლოს/ადგილობრივი საბჭოების მიერ**





ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია შინაპატიმრობის მაჩვენებელთან დაკავშირებით დასრულებულ საქმეთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის, რეგიონებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №78):

